შ.პ.ს. “ ბალავერი ”

ვამტკიცებ შ.პ.ს. “ბალავერი” დირექტორი



ი.გეგია

სატენდერო დასკვნა

ქ. თბილისი, მაჭავარიანის ქ. №3ა, სასტუმროს ტიპის აპარტამენტები, ბლოკი 3-ის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

თბილისი 2019 წ

დავალების თანახმად საჭიროა შედგეს საექსპერტო დასკვნა, ქ.თბილისი, მაჭავაიანის ქ. №3ა, სასტუმროს ტიპის აპარტამენტები, ბლოკი 3-ის კორექტირებული პროექის კონსტრუქციულ ნაწილზე.

გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი მ ა ს ა ლ ე ბ ი:

1. ქ. თბილისში, მაჭავაიანის ქ. №3**ა**, სასტუმროს ტიპის აპარტამენტების კორექტირებული პროექტის არქიტექტურული ნაწილი;
2. ქ. თბილისში, მაჭავაიანის ქ. №3**ა**, სასტუმროს ტიპის აპარტამენტების კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი;
3. ქ. თბილისში, მაჭავაიანის ქ. №3**ა**, სასტუმროს ტიპის აპარტამენტების მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობები.
4. ქ. თბილისში, მაჭავაიანის ქ. №3**ა**, სასტუმროს ტიპის აპარტამენტების კომპიუტერული გაანგარიშების შედეგები;

პროექტი დამუშავებულია შ.პ.ს. “ფ მ ჯ”-ის მიერ დირექტორი გ.ფირცხალავა, მთ. კონსტრუქტორი ზ. კაციტაძე.

მოცემული პროექტის კორექტირებული კონსტრუქციული ნაწილი შესრულებულია შესაბამისი არქიტექტურული პროექტის და საქართველოში მოქმედი სათანადო ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე.

ნაგებობა გაანგარიშებულია დატვირთვების შემდეგ ზემოქმდებაზე:

სამშენებლო მოედნის სეისმიურობა - 7 ბალი;

ქარის ნორმატიული დატვირთვა - 70 კგ/მ2;

თოვლის ნორმატიული დატვირთვა - 55 კგ/მ2.

შენობის მზიდი სივრცითი კონსტრუქციული სისტემა და ფუძე-საძირკვლები გაანგარიშებულია "LIRA-SAPR 2011" საანგარიშო კომპლექსის გამოყენებით და გაანგარიშებულია სპექტრული მეთოდით.

ბლოკი 3

დაპროექტებული ნაგებობა წარმოადგენს 5 სართულიან შენობას.

შენობის სართულშუა გადახურვები და კარკასი შესრულებულია რკინაბეტონით (ბეტონის მარკა **b25,** არმატურის კლასი **A500C**)

საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევების მიხედვით, სამშენებლო ტერიტორია იმყოფება დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში. შენობის საძირკვლის ფუძეთ შერჩეულია არგელიტებისა და ქვიშა-ქვების მონაცვლეობა, რომლის საანგარიშო წინაღობა $\mathbf{R_c=179}$ **კგ/სმ**^{2}, დრეკადობის მოდული – **E=3719.5** მპა

აბსოლიტური ნიშნული **0.000=617.0** მ

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მიხედვით ტერიტორიის სეისმურობად მიღებულია 7 ბალი.

კარკასის საძირკვლები წერტილოვანია.

შენობის მალებია: 5.8 - 8.0 - 6.4 მ, ბიჯები 8.0, 5.7, 6.5

პროექტის კორექტირება ითვალისწინებს შემდეგ ცვლილებებს:

ფასადებზე შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი, რაოდენობა და ნაწილობრივ გაბარიტი. დამატებულია რიგელები, გაუქმებულია ხის ფაქტურიანი პანელები. გადახურვაზე დამატებულია და შეცვლილია შახტების გაბარიტები. “ჟ-ტ” ფასადი: შენობის წინ დამატებულია დაბალი მონოლითური კედელი. “ჟ-ტ” მონაკვეთში ვიტრაჟში მოწყობილია კარი. “ტ” ღერძის გარეთ მონოლითური კედლების მოწყობა არ შესაბამება საპროექტოს და დამატებულია კოლონები, ასევე შეცვლილია პანდუსის გაბარიტი, ფორმა და დახრის პროცენტულობა. სართულებზე გაზრდილია აივნების სიგანე. “ტ-ჟ” ფასადი: 0.000 ნიშნულზე დამატებულია კონდიციონერი. “5-1” ფასადი: ფასადზე შეცვლილია კედლის ფორმა და სიბრტყე. შენობის შიგნით შეცვლილია კოლონების რაოდენობა და ნაწილობრივ გაბარიტი. შეცვლილია სადარბაზოების გაბარიტები და ბინების რაოდენობა. -5.75 ნიშნულზე შეცვლილია სართულის სიმაღლე. “ჟ” ღერძის გარეთ შეცვლილია კედლის მდებარეობა და ავტოსადგომის ფართი. ამავე ღერძთან კედელში მოწყობილია გვერდით მდებარე ბლოკთან დამაკავშირებელი ღიობი. შეცვლილია კიბის კონფიგურაცია და მდებარეობა. -2.75 “ჟ” ღერძთან კედელში გაუქმებულია კარი. “4” ღერძთან ვიტრაჟების ნაცვლად მოწყობილია ყრუ კედელი და ღიობი. 0.000 ნიშნულზე “ჟ” ღერძის გარეთ მოწყობილია გამწოვი მილი. “5-4” მონაკვეთში კედლის წინ მოწყობილია კაპიტალური კედელი და გადახურვა. +6.40 ნიშნულზე +.8.79 ნიშნულზე გაუქმებულია ბეტონის ფილა, რის გამოც არასრული სართულის ნაცვლად შექმნილია სრული სართული. ჭრილი “2-2” –ის მიხედვით “4-5” მონაკვეთში შეცვლილია ფილის ნიშნული.

ზემოთაღნიშნული კორექტირებით გათვალისწინებული ცვლილებები არ იქონიებს უარყოფით გავლენას ბლოკი III -ის შენობების ტექნიკურ მდგომარეობაზე

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, მაჭავაიანის ქ. №3ა, სასტუმროს ტიპის აპარტამენტების, (ს/კ 404905910) (ბლოკი 3-ის) კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით, კორექტირებით გათვალისწინებული ცვლილებები არ იქონიებს უარყოფით გავლენას ბლოკი III-ის შენობების ტექნიკურ მდგომარეობაზე, და კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს, რომელიც წარმოდგენილია საექსპერტოდ, ეძლევა დადებითი რეკომენდაცია

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი თ.გეგეჭკორი
T: 555419508